



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 46

ქ. გარდაბანი

30/03/2022

46-06-4-202203301935



ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ  
სართიჭალაში მცხოვრები ნათია ჯარიაშვილისთვის დახმარების გაწევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილების, 24-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილების, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 24 თებერვლის N18-182205173 შუამდგომლობის თანახმად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა და წ ყ ვ ი ტ ა :

**მუხლი 1**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან გამოიყოს 7203.60 (შვიდი ათას ორას სამი ლარი და სამოცი თეთრი) ლარი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალაში მცხოვრები ნათია ჯარიაშვილისთვის (პ/ნ \_\_\_\_\_), (დიაგნოზი: \_\_\_\_\_)

**მუხლი 2**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერმა გასცეს საგარანტიო წერილი და უზრუნველყოს განკარგულების პირველ მუხლში მითითებული თანხის გადარიცხვა მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, შ.პ.ს. „პსპ-ფარმას“ ანგარიშზე. ს/კ: 202203123

ანგარიშის № \_\_\_\_\_

ბანკი: „თიბისი ბანკი“, კოდი: TBCBGE22

**მუხლი 3**

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**მუხლი 4**

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

